ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვსოფე ცხოვარი ჩემი ფაფუმეფელი. ესრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშრომელნი და ტვირთა-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 20 1883—1898 30 ოქტომბერი.

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“		„მწყემსი“	
12 თვეში . . .	3 შან.	12 თვეში . . .	5 მან
6 — . . .	2 —	6 — . . .	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრესით:

Въ Каширы, въ редакцію „Пастыря“ и „Пастырь“.

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ერცლად და გასაგებად უნდა იყვნენ აეტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს უმაღლეს და უწმიდეს იმ აზრთა, რომელნიც უნდა აღვსებდენ გულსა და კოლებას მოძღვრისას? ნუ თუ ბუნებითი არა ჩვენი ღვთის მზგავსი სულისათვის უმაღლესი აზრები, რომლითაც ეოველთვის გამსჭვალული უნდა იყო მოძღვარი? დიდია დანიშნულება მოძღვრისა მის მოეგებთა შესახებ: იგი ვალდებულია დანერგოს კეთილი იქ, სადაც ფესვის გადგმის აპირებს ცოდვა, მოძღვარმა უნდა მიიყვანოს სიმწესო სინთალისა და ნეტარებისადმი. თავის მახლობელი საზოგადოებაზე მოძღვრს აქვს თვით უმახლობელესი გავლენა. თითოეულს სოფელში, ანუ სამრევლოში მღვდელი ერთად ერთი პირია, რომელსაც, თავისი საკუთარი ოჯახობის გარდა, თავის ოჯახად მიაჩნია მთელი მრევლი, მთელი საზოგადოება, რომელიც მისდამი რწმუნებული ეკლესიის სამრევლოს შეადგენს, მთელს მრევლს მღვდელი მიაჩნია მრჩეველად და წინამძღვრად თავის მოქალაქობრივ ცხოვრებაში; მღვდლის შეუტეობლად არ მოსდება შობა და სიკვდილი; მღვდელმა უნდა აკურთხოს ახალდ შობილი, რომელიც სიკვდილამდე მღვდლის მზედველობაში და მზრუველობას ქვეშე უნდა იმეოფებოდეს; მღვდელია უმაწვილის აკვნის მაკურთხებელი. მისი მონნათოველი, გვირგვინის მაკურთხებელი, სიკვდილის წამს მანუგეშებელი და სიკვდილს შემდეგ მისი დამშვიდებელი. მღვდელი ის კაცია, რომელიც თვით პატარა ბავშებსაც კი უეჯრსო, პატივსცემენ და სათრი აქვსთ მისი; იგინი მოძღვარს თავის მამას და პატრონს ეძახიან; მღვდლის წინაშე ეოველი ქრისტიანე კაცი, დიდი და პატარა გულ ახდილად ამბობს ეოველ თავის ცოდვას, ისეთ რამეებსაც არ უმხელიან მოძღვარს, რომლის გამბელა მას რცხვენია თავისი უმახლობელესი კეთილის მეოფელისათვისაც. მღვდელი ის კაცი, რომელიც სულისა და სხეულის ეოველ უბედურობის დროს მანუგეშებელია, მღვდელია შუამავალი სიმდიდრესა და სიღარიბეს ორის; მოძღვარს მუდამ კარს ადგია მდიდარი და ღარიბი: მდიდარი მოდის მასთან, რომ ფრუელად გადაცეს მას რაიმე შეწირულება, სოლო ღარიბი მოდის მოძღვართან, რომ ეს შეწირულება მიიღოს. მღვდელი ერთად ერთი პირია, რომელსაც კიდეც რომ დიდი მოქალაქობრივი სარასხი არა ჭქონდეს, საზოგადოების ეველა წრეებთან მაინც დიდი დამოკიდებულება აქვს: რაც უნდა მდიდარი და უბრალო ნამომავლობისა იყოს, მას თავისი განათლების და აღზრდის წყალობით დიდი ხედ-გავლენა აქვს ეველაზე. მღვდელი ერთად-ერთი პირია, რომელსაც შეუძლია ილაპარაკოს ეოველივეზე და ეოველ მის სიტყვას ეველანი მოწიწებით ისმენენ, როგორც ღვთის სიტყვის მქადაგებელისას. მღვდელს შეუძლია დიდი სიკეთე მოუტანოს მრევლს. მაგრამ მასვე შეუძლია დიდი ვნების მოტანაც მრევლისათვის და ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ასრულებს იგი თავის დიდ სამსახურს.

ზემო ნათქვამისაგან ცხადად ჩანს, თუ მღვდელი რატომ ითვლება საზოგადოების სულად. ამისათვის მღვდელმა ეოველივე საშუალება უნდა იხმაროს, რომ საზოგადოება მიიზიდოს თავისკენ. ერთი საუკეთესო საშუალება, რომელიც ამ შემთხვევაში ძალიერ დაეხმარება მღვდელს, არის ზრდილობა. ეს საშუალება მართლა, არც ასე უბირველესია, მაგრამ მისი ცოდნა მღვდლისათვის აუცილებლად საჭიროა: მღვდლის ეოველ-გვარი მოქ-

მედება გამსჯავალული უნდა იყოს ზრდილობით.

I.

ამისათვისჩვენ ჯერ საზოგადოთ ზრდილობაზე ვიწერებთ საუბარს. რა არის ზრდილობა? როგორ კაცს ეძახიან ზრდილობიანს? ზრდილობიანს ეძახიან ისეთ კაცს, რომელიც თავისი კარეგანი ეოფა-ქცევით პატივს ცემს სხვებს და კეთილი სურს ეველასათვის. ზრდილობა მარტო გარეგანი მოქმედებით კი არ უნდა გამოიხატებოდეს, არამედ ჩვენი სულის შინაგანი გამოხატულობითაც. მდვდელი უნდა იყოს თავდადებული აღმასრულებელი თავისი საძმასხურისა, მშვიდი, კეთილი; ზრდილობა, როგორც ხალხის ერთმანერთთან შემაერთებელი რამ, სავალდებულოა ეველა კაცისათვის, მაგრამ უმეტესად ეველა მდვდელთათვის.

ახალგაზდა კაცი გამოდის სემინარიიდან და თან გამოაქვს სწავლა, რომელიც საჭიროა ქადაგებისა, დვთის-მსახურების შესრულებისა და დოდმატების განსამარტებელად. როდესაც ასეთი კაცი მდვდლად ეკურთხება და სამრეველოში იწყებს ცხოვრებას, იგი თან-და-თან ცდილობს, რომ მან თავისი საძმასხური ჯეროვანად შეასრულოს და კიდეც მუეიათად მოდვაწეობს ქრისტეს უნაში. მაგრამ ახალ-გაზდა მომდვარი მალე რწმუნდება, რომ მისთვის კიდეე რაღაც არის საჭირო. საზოგადოება ითხოვს მისგან ზრდილობიანს მოქცევას, როგორიც მოეთხოვება შესაფერად აღზრდილს კაცს. მდვდელი, რომელიც ცხოვრებს საზოგადოებაში, ვალდებულია უურადღება მიაქციოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა. მართალია, მდვდელი მოსამსახურეა ღვთისა, მაგრამ ამავე დროს იგი უნდა იქმნეს ამა ქვეყნის საზოგადოების წევრიც; მდვდელი, ჰაეკლ მოციქულის სწავლისამებრ, ვალდებულია სახეში იქონიოს ეოველივე მოთხოვნილებანი საზოგადოებისა.

(შემდეგი იქნება).

ზოგიერთი ადგილები უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის 1894 და 1895 წლების უქვეყნერდომილესი ანგარიშისა მართლ-მადიდებელი აღსარების უწყების შესახებ.

„მართლ-მადიდებელი საღმწოთოების მდგომარეობა საქართველოს საეკსარხოსოში“. საქართველოს საეკსარხოსოის სამწყსოში, რომელსაც შედგენს ოთხი ეპარქია: ქართლისა, იმერეთისა, ეგრისა-სამეგრელოისა და სოხუმისა, ცხოვრებენ სხვა-და-სხვა გვარტომის ხალხი: რუსები, ქართველები, ოსები მეგრელები, აფხაზები, ფშაველები, ხევსურნი, თუშები, და სხვა მცირე ხალხები, და გარდა ამათისა, ბერძნები. თვითეული ამ აღნიშნულ ხალხს აქვს თავისი ძველი თქმულობა, რომელიც ერთი დგმიდამ მეორე დგმაში გადადის, აქვსთ თავიანთი კერძო შთამომავლობითი ზნე-ჩვეულებანი. ამიტომ ზემოაღნიშნულ ხალხთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მდგომარეობის ერთად აღწერა შეუძლებელია. აუცილებლად თითოეულ ამ ხალხის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ მდგომარეობის შესახებ სათითოოდ უნდა ილაპარაკოს კაცმა.

1] **რუსები** სარწმუნოებრივ-ზნეობრივის მხრით მაღლა დგანან ყველა იმ ხალხებზე, რომელიც ცხოვრებენ საქართველოს საეკსარხოსოში. იგინი დიდის გულს-მოდგინებით დაიარებიან ტაძარში, უფრო იციან სარწმუნოების ეეშმარიტებანი, იციან მცნებები და საზოგადო სახმარებელი ლოცვები; დიდის პატივის ცემით ეპყრობიან სამღვდელო პირთ, უფრო გულ-უხვად სწირავენ ფულს ტაძრების საეკლესიოებისა და გამშვენებისათვის და საზოგადოდ მართლ-მადიდებელი რუსი თავისი ზნე-ხასიათით უფრო

ეტოვება განათლებას. ყველა ამ კარგ მხარეებთან რუსის ხალხში, საამაყოაროდ, ენიშნავთ ცუდ მხარეებსაც, სახელდობრ: რუსი მალე ეჩვევა უსაქმობას, შექცევას და იმ ბიწიერებას, რომელიც თან მოსდევს შექცევას და ამაგს გარდა ძალიერ ეტანება სხვა-და-სხვა ახალ რამეებს და ეს არის მიზეზი, რომ რუსის ხალხი ადვილად ვარდება მწვალებლობაში.

2) **ქართველები** სარწმუნოებრივ-ზნეობრივის მხრით რუსებთან შედარებით ძალიერ დაბლა დგანან. იგინი ძვირად დაიარებიან ტაძრებში, ძლიერ ნაკლებად ცდილობენ, რომ ტაძრების საეროობისა და გამშვენებისათვის ფული შესწირონ, ნაკლებად ამბობენ აღსარებას და ზიარობენ, და თითქმის სრულებით არაფერი იციან მართლ-მადიდებელი სარწმუნოების შესახებ.

3) **ოსები**, თუმცა შესაძნნეად გაუმჯობესდენ ამ საანგარიშო წლებში როგორც სარწმუნოებრივის ისე ზნეობრივის მხრით, მაგრამ მათ დღემდის კიდევ სისრულით ვერ შეეთვისეს ქრისტიანული ცხოვრების უმაღლესი ეტაპები და ამიტომ მათი სარწმუნოება წარმოგვიდგენს შენარევს ქრისტეს სარწმუნოებისას და კერპთ თაყვანის მცემელთა რწმენა ჩვეულებისას. ქრისტიანობიდან ოსებმა განსაკუთრებით შეითვისეს სხვა-და-სხვა წესები; ხოლო რაც შეეხება თვით სარწმუნოების არსებით მხარეს, იგი ჯერაც არ გავრცელებულა ხალხში. თვითეული მათგანი იპატიჟებს მოვდელს ბაპტიზის მოსანათლავად, სახლის მოსაკურთხებლად, ავადმყოფების საზიარებლად, ჯვარისწერისათვის მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მოთხოვნილებისამებრ, მაგრამ იგინი ძლიერ ნაკლებად დაიარებიან ტაძრებში და არც არაფითარი შეწირულება მიაქვსთ იქ. უფრო მომტეტებულად ოსები სალოცავად დაიარებიან, ეგრეთ წოდებულ, სალმრთო ჯალებში და კლდეების მაღლობზე, რომელთაც დიდ პატივსა ცემდენ კერპთ თაყვანის-მცემელნი. იქ ჰკლავენ საკონელს ზვსაწირავად, აქ მოაქვსთ სხვა და სხვა სასმელები და საჭმელები. როცა სამსხვერპლო ცხოველს აკურთხებენ, მერე კლავენ და ამ სახით ყველანი ერთად დღესასწაულობენ. ოსების კი მხარეს შეადგენს: ერთმანერთის შეწევნა ფულით და პურ-ღვინით უბედურს შემთხვევებში, თავიანთი სოფლელის დასაფლავება საზოგადო ხარჯით და მოდელის პატივისცემა და საზოგადოდ უფროსის პატივისცემა და სიყვარული, რომ მათი შვილები განუწყვეტლივ დაიარებოდნენ შკოლაში სასწავლებლად.

3) **აფხაზები და მეგრელები** მართლ-მადიდებელ სარწმუნოების ძლიერ გულცივად ეკიდებიან და ამ სარწმუნოების პირველდაწყებითი ეტაპნიც მათში, თითქმის, არავინ იცის. ტაძრებში ძლიერ ძვირად დაიარებიან, გულითი არ ეკიდებიან აღსარების და წმ. ზიარების საქმეს. 1895 წ., როგორც ჩანს აღსარებითი სიბიდან, 59,225 აბხაზთა და მეგრელთაგან სოხუმის ეპარქიაში, აღმოჩნდა 28,437 სული, რომელთაც არ უთქვამსთ აღსარება და არ ზიარებულან. გარდა ამისა აფხაზებს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებასთან შეერთებული აქვსთ სხვა და სხვა რწმენა-ჩვეულება არა მარტო თათრებისაგან გადმოღებული, არამედ კერპთ-თაყვანის-მცემელთაგანაც, როგორც მაგალითად: პატივისცემა სამკედლოსი, საღმრთო მეზეებისა და მათ პატივსაცემლად მსხვერპლის შეწირვა და ფერთვეგ მიცვალებულთა მოხსენება, რომელიც შესდგება მარტო დღესასწაულობისა და ტირილისაგან და ამ დროს საეროდ არ რაცხვენ რაიმე სარწმუნოებრივი წესების აღსრულებას საიდუმლო ქორწინებას მართლ-მადიდებელნი აფხაზნი ძლიერ მოუფიქრებლად ეკიდებიან. ახალგაზდა ქალის მოტაცება ყმაწვილი კაცებისაგან და მათთან დაოქორწინებლად ცხოვრება (ხშირად ახლო ნათესავებში), ხშირი შემთხვევაა და ამ ჩვეულებას ძლიერ მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული აფხაზებში და ამ ცუდ ჩვეულებას ისინი ცოდავად არა თვლიან. აგრეთვე აფხაზებში დღესაც ძლიერ ხშირად სრულდება შურისძიება და ცხენის ქურდობა, რომელსაც აფხაზები დამნაშობათ არც კი სთვლიან, პირიქით ცხენის ქურდობა კაი ბიჭობათ მიაჩნიათ, ხოლო შურისძიება საღმრთო მოვალეობად.

4) **ფშაველები**, ხევსურები, თუშები და სხვა მცირე ხალხები, რომელნიც მართლ-მადიდებელს საქართველოს საეკლესიოსოსში ცხოვრებენ, დღესაც კიდევ ძლიერ ცუდი ზნე-ჩვეულებისანი არიან. ყოველგვარი ბიწიერება: ქურდობა, მემთვრალეობა, ცრუფიცი, შურისძიება, ქალების მოტაცება მათში დღესაც მტკიცედ არის ფეხმოკიდებული. ამ საანგარიშო წლებში ეს ხალხი სარწმუნოების მხრით ისევე იმ მდგომარეობაში არის, როგორშიაც წინეთ იყო. ისინი დღესაც ხშირად სწირავენ ცხოველებს კერპთა ტაძრებში, სწამთ მკითხავები, პატივსაცემენ ხევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერებს» — მოხუცებულთ, მათ სახლებში ვერ ნახავთ ხატებს და სხ.

5) **ბერძნება**, რომელნიც უმთავრესად ცხოვრებენ ყარსის სამფლობელოში და ბორჩალოს მაზრაში ტფილისის გუბერნიისა, ხშირად დაიარებიან ტაძრებში, წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ მარხულოობენ და ზიარობენ მიუხედავად თავისი სიღარიბისა, ძლიერ გულუხვად იღებენ შეწირულებას: თითქმის სოფლის ყველა ტაძრები აშენებულია მათი საკუთარი ფულებით. მაგრამ ამაებით თავდება მათი მართლ-მადიდებლობა, როგორც ამბობს ერთი ბლაღრინნი ყარსის სამფლობელოისა. მათ წმ. ხატებს ვერ უნახავთ სახლებში, გულზე არ კიდიათ ჯვრები, არ იხსენებენ თავიანთ მახლობელ გარდაცვალებულთ. თავიანთ მღვდლებს არ უყურებენ ისე, როგორც მათ მასწავლებლებს, და როცა მღვდელი მასწავლებლობს, ბერძნებს არ მოსწონთ ეს. თუ მღვდელმა ვინმეს უარი უთხრა რაიმე უკანონო მოთხოვნილებაზე, ან რაიმე დარიგება მისცა ვინმეს, მთელი სამრევლო საყვედურს გამოუცხადებს მღვდელს. შემდეგ იწყება მთელი მრევლის საჩივარი მღვდელზე, თუ ამ უკანასკნელმა როგორმე ვერ მოახერხა მრევლის შერიგება.

ზემო ნათქვამისაგან ცხადათ ჩანს, რომ საქართველოს საეკლესიოსოის მართლ-მადიდებელი სამწყოსის მდგომარეობა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხრით ძლიერ სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს. ზემოთ დასახელებულ ხალხთა შორის უმრავლესობა ჯერ კიდევ თავის ძველებურ მდგომარეობაში იმყოფება და ძლიერ მცირედ აქვს შეთვისებული ქრისტეს სწავლა-მოძღვრება. საეკლესიოსოის სამწყსოის ცოდ ზნე-ჩვეულებათა და თავხედობის მოლმილება სხვა და სხვა ბიწიერ მიდრეკილებათა და ჩვეულებათა მოსპობა, ამაო მორწმუნე ჩვეულებათა აღმოფხვრა, და აგრეთვე მოსპობა და შესუსტება იმ ცუდი ზედგავლენისა, რომელიც მართლ-მადიდებელთა ზედა აქვსთ «დეკანოზებს», «ხეკეს ბერებს», მაჰმადის აღსარაებელთა მოლვებს, შტუნდისტებს, ბაბტისტებს და სხვათა საზოგადოდ სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხარეების ამაღლება მართლ-მადიდებელთა შორის შეიძლებოდა ქადაგებითი სიტყვით და მწყემსთა მამაშვილური დარიგებით და სასულიერო განათლების გავრცელებით ახალ მოზარდ თაობათა შორის საეკლესიო-სამრევლო სკოლების შემწეობით. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს საეკლესიოსოის სამღვდელოება, მათი ყოველად უსამღვდელოებობის ეტყობა ეროვნული ბიბლიოთეკა
ექსარხოსის მოხსენებით, ამისთანა მოღვაწეობისათვის ნაკლებად არის მომზადებული. რომ სამღვდელოება მომზადებული არ არის ამგვარი მოღვაწეობისათვის და არც სასურველი კეთილი გავლენა აქვს თავის სამწყსოზე, ამის მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: 1) სამღვდელოებაში საკმაოდ არ არის გავრცელებული განათლება და 2) ხსენებული სამღვდელოება ძლიერ ნაკლებად არის უზრუნველ ყოფილი ნივთიერად. თუ რამდენად ნაკლებად არის განათლებული სამღვდელოება, ეს იქიდან ჩანს, რომ ორ მესამედ სამღვდელოებას ქართლოსის ეპარქიაში, რომელიც საეკლესიოსოის სხვა ეპარქიებზე გაცილებით მაღლა დგას სამღვდელოების განათლებით (გურია-სამეგრელოის ეპარქიაში, მაგალითად, განათლებული მღვდლები მთელს ეპარქიაში ერთი მეოცედია) არავითარი განათლება არ მიუღია, ანუ დაბალ სასწავლებლებში უსწავლიათ ორი-სამი წელიწადი და შემდეგ მომზადებულან თავიანთი დიდი სამსახურისათვის ან მონასტრებში ან სამრევლოებში, სადაც სამსახური დაუწყიათ, თითქმის, ეკკლესიის ყარაულის თანამდებობიდან. ამაებში ისეთებიც არიან, რომელთაც მხოლოდ თავისთავად უსწავლიათ კითხვა, გალმა და ეკკლესიური წესების აღსრულება. თავისი მოუმზადებლობისა გამო საეკლესიოსოის სამღვდელოების უმეტეს ნაწილს არ შეუძლია ქადაგება და მასწავლებლობა და ამიტომ არც რაიმე კეთილი ზედგავლენა აქვს სარწმუნოებრივ-ზნეობრივ ამაღლებაზე თავიანთ სამწყსოთა შორის, რომელმაც ქრისტეს სარწმუნოების პირველი დაწყებითი ქეშმარიტებანი და მოძღვრებანიც კი არ იცის. ზემო აღნიშნულ მიზეზთა გამო სამღვდელოების უმეტესობას თავის მოვალეობის აღსრულებად მარტო წირვა-ლოცვის და ეკკლესიური წესების შესრულება მიანნია და ესეგები თუ შესრულა თავის დროზე, ფიქრობს, რომ ის სავსებით ასრულებს თავის მაღალ და საღმრთო მოვალეობას. ზედგადა რა ქართლის ეპარქიის სამღვდელოების გაუნათლებლობას და მისი მაღალი ტ საღმრთო მოვალეობისათვის შესაფერად მოუმზადებლობას, რის გამო სამღვდელოებას შესაფერი ზედგავლენა არა აქვს სამწყსოზე, მაღალ ყოველად სამღვდელო ექსარხოსმა ორი ერთ გზის მიმართა ქართლის სამღვდელოებას თხოვნით, — რომ მათ სიყ-

ვარულით და ერთსულობით მოკიდონ ხელი თავიანთ სულიერ შვილთა განათლების საქმეს. მაგრამ ვისი მამაშვილური თხოვნა-მუდარა სასურველად არ დაბოლოვდა: ხალხს სწავლების საქმეს და ღვთისმსახურების გარეშე საუბრებს ხელი მოკიდეს მხოლოდ ქალაქების ზოგიერთმა მღვდლებმა და სოფლის სამრევლოების მწყემსთა ძლიერ მცირე ნაწილმა. მაგრამ გასაკვირიც არ არის, რომ სამღვდელოება სრულიად იეიწყებს როგორც თავის განათლებას ისე სამწყოსისასაც, ვინაიდგან ყოველი მათი ზრუნვა იმაზეა მიმართული, რომ ცოლშვილს დღიური საზრდო მოუპოვონ: „თუ რამდენად ღარიბია ჩემდამი რწმუნებული საბლაღოჩინოს მღვდლები“, სწერს ქართლის ეპარქიის ერთი ბლაღოჩინი, ეს იქიდან ჩანს, რომ ზოგიერთი მღვდლები მარტო პური ითი ასაზრდოებენ თავიანთ სახლობას და იმასაც გაჭირვებით „შოობენ“. ასეთი თავისი სიღარიბის დროს სამღვდელოება თავის შვილების განათლებაზედაც არ ფიქრობს. ღუშეთის საბლაღოჩინოს ოლქის მღვდლებთაგან მხოლოდ ერთი ზრდის შვილს სასწავლებელში. მუდმივი ნაკლებობა, მუდმივი ზრუნვა დღიურ საზრდოზე ერთის მხრით მოკალეგბას არ აძლევს სამღვდელოებას იზრუნოს თავის პირდაპირ მოვალეობათა სისრულით აღსრულებაზე, და მეორეს მხრით სიღარიბე აიძულებს მათ, რომ სხვა და სხვა მღვდელთ-მოქმედების შესრულების დროს ეკეკრონ მრევლთ, რაც ძლიერ ამცირებს მწყემსთ ხალხის თვალში.

ვინაიდგან საქართველოს საექსარხოსოის სამღვდელოების უმეტესი ნაწილი მოიზდებული არ არის, რომ ეკლესიის კათედრიდან უქადაგოს ხალხს და სასწავლებლებშიაც მასწავლებლობა გასწიოს და იმ მიზნისათვისაც, რომ სამღვდელო კანდიდატები ჯეროვანად იქმნენ მომზადებული, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც უნდა იმსახურონ იმ სამრევლოებში, რომელნიც მდებარეობენ საექსარხოსოის განაპირა ადგილებში, როგორებიც არიან: აფხაზეთი, სვანეთი და ყარსის სამფლობელო, ძლიერ საჭიროა მათი ყოველად უსაძღვდელოესობის ეკსარხოსის განცხადებით, გაიხსნას ორი სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი—ერთი ყარსის სამფლობელოში და მეორე სოხუმის ეპარქიაში, და ეს რამდენათაც ადრე მოხდება, მით უფრო სასურველია, ვინაიდგან დასახელებულ ადგილებში უფრო საჭიროა განათლებული მღვდლები, რომელთთაც უნდა ეკოდგანოსთ ადგილობრივი ენა. რადგან ხსენებულ ადგილებში არ იმეკონენიან სასულიერო სასწავლებლები, ამიტომ ადგილობითი სამღვდელოების განათლება შეუძლებელია იმის გამო, რომ ადგილობით სამღვდელოებას შორეულ ქალაქებში არ შეუძლია შვილების წაყვანა ერთი სიღარიბისა გამო და მეორეც იმისათვის, რომ ამ ქალაქებში ძვირად უჯდებათ შვილების შენახვა. ამიტომ მღვდლების შვილები უმეტესად სახლებში რჩებიან და ხელს ჰკიდებენ სასოფლო მეურნეობას და ან სხვა წოდებაში გადადიან.

მეორეული განმა

ყოველად სამღვდელო კირონმა კახეთიდგან ჩამოიტანა 68 ხელნაწერი და გადმოსცა ტფილისის საეკლესიო მუზეიმ. მოსალოდნელი იყო, რომ კახეთი, ეს კურთხეული მხარე, სადაც უწინ ლამპრად განათლებისა ჰაეადოა აკადემიები, დაიკავდა ჩვენ უბადრუკთათვის ბევრს ძვირფასს წიგნს. მართლაც, შემოწერილ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა რამდენიმე შესანიშნავი წიგნი. ამ წიგნების შესახებ ჩვენ მოვილაპარაკებთ შემდეგში, ხოლო აწ ვიტყვით რამდენსამე სიტყვას იმ ტყავზედ ნაწერ ხელნაწერის შესახებ, რომელსაც «ძვირფასი განძი“ უწოდეთ.

ეს დიდი და ფუჩინებულესად დასურათხატებული წიგნი არის სახარება, რომლის გადაწერა დასრულებული 1059 წელს.

წიგნში მრავალი საყურადღებო ცნობებია სახარების თარგმნისა, თეიმურაზ I ისა და სხ. შესახებ. ყველა ამას ჩვენ განვუხიარებთ მკითხველებს ჩვენს «საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილებში», ხოლო ამ მცირე შენიშვნის ბოლოს ჩავურთავთ იმას, რაც წიგნის უკანასკნელს ორს გვერდზე სწერია.

«ქ. ადიდენ ღმერთსან ძლიერსა და უძლეველსა! ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფეკელსა! ბაგრატ ბაგრატ ოვანეს ოიოანეს ბოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცსა, ეკკლესიასა მთასა, თუესა აპრილსა: იჰ: დღესა. ახალკჯრიაკესა: სრულმცა არს ღუთისა მიერ დიდებაჲ მათი ყამთა უკუნისამდე: ესე წყალობაჲ მოაწია ღუთისა მიერ ჩუენ მონათა მათთა ზედა მამასახლისობასა გლახაკესა ქარდილაჲსასა:. ქრონიკონი იყო: სოთ:. (=1059 წ.).

შემდეგ ასო მოიგრეულიათ:

ქ:. არის:. დიდის:. კაცხის:. მონასტრის:. გლეხი:. ჯუმლიდ:. ასი:. გალმაგამორმა:. ზვარი:. და:. სარეწე: (?): კიხბერიძისა:. მზღვრამდე:. კაცსა:. სანადირო:. ელ:. შეოალად:. სათევზე:. ელ . შეოალად:. ამენ:.

სხვა ხელით და ხვეულის ჩინებულის მხედრულით აქვე ცალკე სტრიქონად:

ქ:. მეფეთ:. მეფე:. ბაგრატ:. ვამტკიცებ:.. (ერთი სიტყვა გადალეწულია) ვამტკიცებ.

ჩვენს «ᲐᲚᲔᲞᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ», რომლის გამოცემა ითავა პატიოცემელმა აკაკიმ, აკლდა ხელი ბელათის განშაახლებელის ბაგრატ მეფისა და დღიდგან მას დაამშვენებს ნაწერი იმ წარჩინებულ ხელმწიფისაც, რომელიც მარად იღიწოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. („ივერია“)

ᲙᲐᲕᲔᲜ.

იგი დათრთოდა ფერ-შემკრთალი, გაფითრებული,
არა ცრემლებით,—სისხლით თვალნი მას დანამოდა
და მისი გული, შერთი, მტრობით აზეირთებული,
თავის ბუდიდან ამოხტომას თითქო ჰლამობდა.

მთელი არსება მისი ჰქუხდა, ზღვასებრ გრგვინავდა,
ის მსხვერპლს ელოდა, უპირებდა ვიღაცას შთანთქმას
და შავ-ბედითი ყორანივა იქვე ჰფრინავდა,
ორკეცებდა რა მის სურვილს, ბოროტ გულისთქმას...

შერით პყრობილი ის საშინლათ იტანჯებოდა,
წამალს ეძებდა საკურნებელს და ვერ ენახა;
კბილების ღრჭენით იგი ქვეყნათ იარებოდა...
«მოჰკალი, მოჰკალ!»—ამ დროს ყურში ვინცხამ ჩასძახა.

ხუჭუჭ-თმითნი, შვენიერი, სახე-ნათელი,
ვის თვალებშიაც მაღლი ცისა მარად კრთებოდა,
ვის გულშიც მარად ზეციური ენთო კანდელი
და ვისიც გრძნობა ღვთიურ სიტყვით აინთებოდა;

იგი, ვინც წელან მხიარული, აღფრთოვნებული
ცას შეჰხაროდა, შვებას ჰგრძნობდა ცოურ ნათელში,
—შერით და მტრობით საზიზღრათ მოტყუებული
თავ-გახეთქილი ძმისგან ეგდო ულმოცული ველში!..

და იმ დროს, როს მას ნაკადულებრ სისხლი სდიოდა,
ცა და ქვეყანა შიშით თრთოდა და ზანზარებდა!
თვით დედა-მიწაც, თითქო შეკრთა, ცას შეჰკივოდა
და ის კივილი, ის ბლოვის ხმა გულს აზარებდა...

თითქო ბუნებაც ამეტყველდა, იჩინა ძალა
და შორით-შორსა თავის-თავათ მასში გაისმა:
«უმანკოება კაცის, ხედავთ, ვით შეიბღალა!
სისხლი მაწუხებს... კაცმა შერით მოჰკლა თავის ძმა!..»

და მკვლელი იგი შიშით ძრწოდა შეშინებული,
მას ის კივილი, საშინელი გულში წვდებოდა
და ის უმანკო, ვით ტარიგი, ცად შეწირული,
სისხლში მგორავი მოდამ თვალ-წინ ელანდებოდა!..

და მას დევნიდა საშინელი იდუმალი ხმა,
რისხვით და ზარით მასზე ზეცით გადმოვლენილი:
„კაენ, სად არის, ბაბა მითხარ, ამელ, შენი ძმა?
ამიტრიდან იყავ კრული, ყველგნით დევნილი!..“

იგი დაძრწოდა... მას უთრთოდა მთელი სხეული
და ვერსად ქვეყნად ვერ ეპოვა თავ-შესაფარი!
მისთვის ბუნება ჯოჯოხეთად იყო ქცეული...
რისხვით დევნიდა ყოველი მხრით მას მთა და ბარი!..

და დედამიწაც იმის ფეხ-ქვეშ იზნიქებოდა,
თითქო სამძიმე საშინელი რამ დაწოლოდეს!
და იმ ცოდვის შვილს გრძნობა-აზრი ეკარგებოდა,
ხსნას არ ელოდა, უიმედო, ქვეყნათ აროდეს...

და იყო იგი მრავალ-ტანჯვით გულ-განაწონი...
ის იტანჯოდა, სანამ სურდა მაღალს ნებასა
და არა თუ აქ, ქვეყანაზე, საბრალო, მგონი,
რომ საფლავშიაც ვერ ეღირსა მოსვენებასა!..

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

შორაპ. მაზრაში ექ. ვ. ღ-ძემ ისეთი შესანიშნავი აპერაცია და ექიმობა შეასრულა მშობიარე დედაკაცებზე სოფ. სვირში, ვარძიაში, ღელვანში და ერთ ავათმყოფზე მუცელის მოშლის შემდეგ ს. შ—ში, რომ ყველა გაოცა მისმა დახმარებამ და ხალხი იღვიძებს, ცოტ-ცოტად თვალები ეხილება და რწმენას ჰკარგავს მკითხავებზე და სოფლის ექიმებზე, რომელნიც ასე უწყალოდ ატყუებენ მათ, ერთის მხრით ცარცვენ და მეორეს მხრით ამ ქვეყანას ათხოვებენ.

—

დიდ საჩივარს იწერებიან მღვდ. მ. ნიკიფორე თხილაშვილზე, რომელსაც ვითომც გარდაცვალებული არ შეესვენებინოს ეკკლესიაში. ჩვენ ძლიერ გვეკვირს, როგორ არ შეასვენებინებდა მღვდელი გარცვალებულს ეკკლესიაში, თუ რაიმე საშიშარი სახადით არ იყო გარდაცვალებული ავათ. იმედია საოსეიერო მთავრობა კანონისამებრ მოექცეცა ამ მღვდელს, თუ რაიმე უჯერო მოქმედება ჩაიდინა.

—

შავ ჭირთან საბრძოლველად და მის ასაშორებლად ოლდენბურგის პრინცს ალექსანდრე პეტრეს ძეს უმაღლესად ებრძანა იმიერ-კასპიის მხარეში წასვლა. პრინცმა ამ დღეებში კიდეც გაიარა რკინის გზით ბაქომდის.

—

ქუთაისის გუბერნატორისაგან წინადადება მიეცა ამ ხანებში ექიმს ვ. ღ—ძეს სამარყანდში წასვლისათვის ჟამის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ იგი არ დათანხმდა იმ მიზეზით, რომ ხალხი შორაპანის მაზრაში თითქმის ღვთისანაბარად არის დაშთენილი ავათმყოფობის დროს და მკითხავებისა და უბრალო ფერშლების ხელში არის ჩაგდებული და ეს გარემოება იქერს მას შორაპანის მაზრაში და სხვაგან წასვლის ნებას არ აძლევს.

—

ბიქტორ კიკნაძეს რეგოლვერი ცხოვრებელმა ვაჭარმა კაკიტაძემ. ტყვია მოხვდა ბეკენ მეალტე და იქიდან მკლავში გაჩერდა. ტყვია ექიმმა ლამბაშიძემ გამოართვა ისე ოსტატურად, რომ ტკივილიც არ გაუგია. ამავე ექიმმა ოთხი გირვანქა ბალღამი გამოუტანია ერთ კიკნაძეს მკერდიდან, რომელიც ძლიერ შეწუხებული იყო და ბოლოს მკერდის გამსარეცხად თოფურთის საავადმყოფოში გაგზავნა. ეს ავათმყოფი დღეს კარგათ არის.

—

წასულ კვირას ანჩისხატის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა გორის ეპისკოპოსი ლეონიდი. ამბობენ, რომ ამის შემდეგ ყოველ კვირა-უქმე დღეს ანჩისხატის ტაძარში იქნება მოდამ მღვდელ-მთავრის წირვა ქართულის გალობით. ამრიგად ძველს საკათალიკოზო ტაძარს კვლავ უნდა დაუბრუნდეს თვისი მნიშვნელობა და წარსული დიდება რაოდენადმდე მაინც. იმედია, რომ ქართველთა საზოგადოება გულუბვად ისარგებლებს ამ სულიერის საზრდოთი და მხარს დაუშენებს სასულიერო მთავრობის განკარგულებას. იმედია, რომ ანჩისხატის ეკკლესია თავის შესაფერ ადგილ დაიკავებს განსაკუთრებით მამა ჰ. კარბელაშვილის წყალობით და თაოსნობით.

—

დეკემბერ იუწყებიან, რომ ვენის საუნივერსიტეტო საავადმყოფოში შავი ჭირით მოკვდარა საავადმყოფოს მსახური ბიჭი და ერთი ქალი და პროფესორი. ვენაში თურმე, ჭირი გაჩენილა ექიმების მეცნიერულ გამოკვლევის დროს, როცა ჭირს უკრიდნენ ცხოველებს.

—

პეტერბურგიდან „კავკაზს“ დეკემბერ აცნობებენ, რომ ფინანსთა სამინისტრომ საბოლოოდ გადაწყვიტა, დაარსდეს თბილისში სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილება, რომელსაც უფლება მიეცემა შეიძინოს ადგილ-მამული გადმოსახლებულ რუსებისათვის, განსაკუთრებით ოსმალეთისა და სპარსეთის საყურადღებო მოსაზღვრე ადგილებშიო.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებასა და კეთილ-ზნეობაზე

ოდესაის კერა

ძმა კაცი და დედაკაცი.

V.

(რუსულიდან)

თავის თავის დაბერება ზაბუკისა.

გაგრძელება*.

ფლეტჩერი ამბობს:

„ყველა იქნების თავისთვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, ძლიერი ვინც არი, პატიოსანი, მართლის მოყვარე, მის ხელთ ქვეშ სუფეს სიცოცხლე, უფლება და ბედის წერაც, მისთვის არ არის დარეული, არც დახანებული არა რა ჩვენი საქმენი მადლით არიან ან ბოროტებით მოსილნი, რომელიც თან სდევს ვით უჩინარი, მოუშორებელი აჩრდილი“.

სერ გენრიხ ოტტონი:

„ბედნიერია, ვისაც ბუნებით
ან მუშაობით თავის თავზედა
მოუხვეჭია თავისუფლება,
არ გაუხდია თავი სხვის მონად
უმანკო აზრი მისი ჯაჭვია,
ჭეშმარიტება—ფარი და ხმალი.
ის არ ნდომილობს ენებათ მონობას,
და გულს არ უტეხს სიკვდილის შიში
დიდება-ქების მოყვარეობას
იგი ოდნავაც ვერ შეუბღალავს,
ვერ იმორჩილებს მას სიყვარული
ამაღელებისა და არც დაცემის,
ის არ პატრონობს ქონება-მამულს,
მაგრამ მფლობელობს მკაცრად თავის თავს,
არა რაჯ აქვს და მის ხელთ არის ყოველი“.

მილტონი სწერს: „ის, ვინც ერიდება და პატივს სცემს ღვთის მსგავსებას, მის არსებაში დაბუდებულს, და ხედავს შუბლზედ ნიშანს გამოსახულსა, დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ მას აქვს უნარი კეთილ-შობილური და ღვთიური მოქმედებისაო».

ფორდსვორდი ამბობს ადამიანზე:

„ვინც არ შემკრთალა და განლიგვებულა დამარცხებითა,
ჭირში, თუ ლხინში, უხვებაში, თუ მონებაში,
მრავალთა შორის სათაპაშოს იმასა რჩეობს,
რის მონაგები მას ყველაზედ ძვირად ულირს,
ის დიდებული მხედარი არის, ვინაობას
ნდომობს ყოველი, ვინც სილაღით აღტურვილია“.

კოლრიდჟი:

„ყოველ გულ-კეთილ ადამის ტომსა ბევრი უჩნს
საუნჯე და მეგობრები,—მისი საუნჯე
სიყვარულია და სიწრფელე მშვიდი სულისა,
ჩუმი მსჯელობა აზრების, ბალღის წყნარ სუნთქვაზე
მიმსგავსებული... სამი ერთგულნი მეგობრები,
ბევრად უერთგულესნი დღე და ღამეზე,
თითონ არიან მისი შემქნელი და ანგელოსიც აღსასრულისა».

მატიუ არნოლდი:

«ოჰ, ხმავ ზეცისავ, საუკუნიდან ღვთაებრივ სუფთა,
ჩემს გულს ჩასძახ და იქ ჰპოებ გამოხმობასა,
მუნ გარდასწყვეტ იყვე თავისთვის: ვინც შენ მოგიხვეშს,
მას ვერ იმონავებენ ცხოვრების სიავენი».

კლოე:

„თუ ჩვენს თავს ღრმად უკვირდებით, ყურს უგდებთ გულის მოძრაობას,
ქვაშიაც ვპოებთ მაშინ პორსა, მკვდარს სულში ვპოებთ სიცოცხლეს‘,
ღვევის მორისი:

„ყველტოდე სულით, აზრებით, სიმართლე ჭეშმარიტებას.
მაშინ იქნები შენ ბედნიერი, თუმცა პატივი ცოტა გექნება.
სიმდიდრე—ხრწნადია, პატივი და დიდებაც წარმავალია,
ხოლო განცხრომა სულის სიმაღლეს აძძიგებს, აივსროებს
გაქნდეს უმანკოება, იყავ ერთგული შენის ვალისა,

*) იხილე „მნუემი“ № 19, 1898 წ.

ნუ წარგტაცებს სიამოვნება, ნურც გაშინებენ ტანჯვანი
ვინც სულის ამ ძალას მოიმკობს, ის მძლეველია ყველაფრის,
უამისოდ კი ქვეყნის მპყრობელიც სუსტია, საწყალობელი“.

«იყავ თავისთვის ცოხე სიმაგრედ, ან ლაშპარად შენს საპყრობილესო», ამბობს სხვა პოეტი.

ჩვენ პირველშივე უნდა ავგენიშნა, რომ ეს საოცარი და მიუცილებელი ქეშმარიტება უშინაგეს სამღვთო წერილშია გამოცხადებული მაცხოვრის მოკლე, მაგრამ გარკვეული სიტყვებში: «მოთმინებითა თქვენითა მოიპოოთ სული თქვენნო».

თავის თავის დაპყრობა მალე არ მოიხვეჭება. მას მხოლოდ დიდი შრომითა და ბრძოლით შეიძენს ადამიანი.

რა გზით მოიგება თავის თავზე გამარჯვება? ამის შესახებ დიდი ხნიდან არის გამოჩკეული ერთი პასუხი. სხვა ახალი, «ოვისებური პასუხი ამ კითხვაზედ უსაფუძვლო და სიცრუე იქნება. ამის პასუხს გვაძლევს ძველის ძველი, მაგრამ ამავ დროს ახალი წიგნი, რომელსაც დედა უნდა გვასწავლიდეს ჩვენ: «ილვიძეედით და ილოოკედით, რათა არა შეხვედთ განსაცდელსა», სულითა ვიდოდეთ და ხორცითა ვნებათა ნუ ასრულებთ. კაცის სხეული ადგილად დაეცემა და გაიოყნება. დღეს თუ სიწმიდის ჭურჭელია, ხვალ შეიძლება გახრწნილების ბუდეთ იქცეს, რომელიც აივსება მკედართა ძვლებითა და ყოველი გვარ არა წმიდებით. დღეს თუ საკურთხეველს ეშხგავსება, ხვალ შეიძლება ეშმაკთა, ელქაჯთა და მაცდურთა ბუნაგად გარდიქმნას. ადამიანის სული შეიძლება კეთილთა საუნჯისგან მხეცთა გალიად გარდაიქცეს. მაგრამ არას გზით არ შეიძლება, რომ ადამიანის არსება გაუპატიურდეს მთლად. მოეძღურებამ შეაშოოს, ჩააჭოს ის ჩვენს არსებაში, მაგრამ მთლად არ დასახიჩრდება, იმიტომ, რომ ის უკვდავია, ღვთაებრივი, ის ნაწილია ღვთაებისა, რომელიც ჩვენს არსებაშია ჩანერგული, იმით ვემსგავსებით ჩვენ ღმერთს. მაგრამ მტრეფდაც არ შეუძლია აიტანოს უწმიდურს ადგილებში ფრენა, და სული წმიდას გაფუქებულს გულში ცხოვრება. მეფემავი ღვთის ვედრებით და შეუწყვეტელი მოღვაწეობით უნდა დავიცვათ ჩვენი გულის უზაკობა და სიწმიდე. წმ. მოციქული პავლე იყო კაცი «მესამე ცისა», «მდეგნელი ცისა», როგორც უწოდებს მას ეკლესია, მაგრამ იგიც კი ამბობს: «ერთსა ვყოფ: უკანასნელსა მას დავივიწყებ და წინასა მას მივსწვდები, ვეწფი მიზანსა, და გვირგვინსა ზეცისა ჩინებისა ღრმისა ქრისტეს იესოს მიერ... ამისთვის მე ვრბი არა ისრად ვითარცა უჩინოდ, ესრეთ ვიჭირავ, ვითარცა არა ჰაერსა ვსცემ, არამედ ადვიკოძალვ ხორცთა ჩემთა, და დავიმონებ სულსა ჩემსა, ნუ უკვე სხვათა უქადაგებდე და მე გამოოცდელი ვიყო“.

ამ რიგად, როგორც ვხედავთ, გამარჯვება

ინისა, ვინც ძლიერია და გაბედული. მოიგონეთ, როგორ მკაცრად და ხანგრძლივად ავარჯიშებდენ თავის თავს საბერძნეთში ფალავნები და რომში გლადიატორები (მოჭიდავენი). ამ გვარადვე იქცევიან ჩვენს დროს ისინიც, ვინც მონაწილეობას იღებს გონივრულ თამაშობაში, უნდა ნაპოთ, რა ბეგვითად ერიდებიან ღვინის სმას, რა მკაცრად მარხულობენ, როგორ წესიერად ვარჯიშობენ. თუ ესენი უარს ყოფენ ამაებს, ერიდებიან ინებთის, რომ ხრწნილებადი, ადრე წარმავალი ჯილდო მიიღონ, რამდენი მეტი უნდა მოვიმოოთ, რომ მივიღოთ «დაუუქნობელი იგი დიდებისა გვირგვინი», გვირგვინი გაკეთებული ციური, დაუუქნობელი ძეგლისაგან? ღვთის შემდეგ, ეს ჩვენ ზედ არას დამოკიდებული.

«მე მრწამს, რომ სამარცხვინო, მიგნებელიაო, იტყვის გარყვნილი, მაგრამ არ ძალ მიძს შევსცვალო ეს მიმართულებაო: ძალა — სიცრუეაო», ბანს მისცემს ისეთივე თავდავიწყებული ეგზეული. მაგრამ არა, ჩვენ ზედ არის დამოკიდებული ჩვენი ისეთი თუ ისეთი მდგომარეობა. ჩვენი სხეული ბაღია, ხოლო მებაღე — ჩვენი ნებებლობა. ენინჯარს დაესთესეთ შიგ, თუ ხესს, თუ ზრისს, თუ ესუპს, სულ ერთნაირი ბალახით აივსებთ, თუ მრავალ ფერი მცენარეებით; უნაყოფო გამოდგება, თუ ჩინებულად გაშენებული — ყოველს შემოხვევაში ეს ჩვენს ნებებლობაზედ არის დამოკიდებული, მისი მოვლა ჩვენს ხელთ ქვეშაა. ჩვენი ცხოვრების სასწორზედ რომ გონება არ იდგეს, რომელიც პირის პირ უდგას გრძნობიერებას — მაშინ სიმხურვალე სისხლისა და მდაბალი სურვილები საზარლად დაგვასახიჩრებდენ, მაგრამ ჩვენ გვაქვს გონება, რათა მით გავაძიერლოთ გახურვებული გრძნობიერება, ჩვენი თავ აშვებული სურვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიო-მღვიმის მონასტერი.

საქართველოს ყველა მონასტრებში განსაკუთრებით შესანიშნავია თავის სიძველით შიო-მღვიმის მონასტერი; იგი მცხეთიდგან მდებარეობს ჩრდილოეთ-დასავლეთით. თბილისიდან კი მონასტერამდის არის 30 ვერსი, ხოლო მცხეთიდან 10. იმ ადგილს, რომელიც ღღეს მონასტერს უუჭირავ, ეძახიან სარკინეთს, რადგან აქ უწინ რკინის მადანი ყოფილა. ჯერ კიდევ იესო ქრისტეს დამადებამდე, როგორც მოგვითხრობენ საქართველოს მატიანენი, ამ ადგილზე ყოფილა გამოქვაბული საცხოვრებელი მღვიმეები, რომლებიც, როგორც ზეპირ-გადმოცემით ვიცით, დაუნგრევია ალექსანდრე მაკედონელის ჯარს. ამ ადგილზე ერთ იმ 13 სირიელ მამათაგანს, რომელნიც მოსულან საქართველოში მეექვსე საუკუნეში და სახელდომ, შიოს აღუშენებია ერეკელი უდაბნო ბერ-მონაზონთათვის. ამ მღვიმეთა რიცხვს შემდეგში იმდენად უმატია, რომ მათში, როგორც ვახუშტი მოგვითხრობს 5,000 ბერ-მონაზონნი სცხოვრებდნენო. 1845 წელში ამ მღვიმეთა რიცხვი, როგორც ამბობს პლატონ იოსელიანი, ათასამდე ყოფილა. ეს მღვიმეები გაფანტული არიან მთის ფერდობებზე და ღღეს ბევრ მათგანს კაცი ვერ კი მიუდგება. ზოგიერთ ამ ღვიმეებში არის ეკკლესია კანკელით. განსაკუთრებით ბევრი მღვიმეები ყოფილან გამოქვაბულნი თვით მთის შეფერეულების ძირში.

შიო-მღვიმის მონასტერში მიდის სამი გზა: ერთი გზა მიდის მუხრანიდან და მის მახლობლად მდებარე სოფლებიდგან, მაგრამ ეს გზა ძალიან ცუდი სასიარულოა, რადგან გაყვანილია ხრამებზე და მაღალ ციცაბო კლდეებზე; მეორე გზა მიდის სამხრეთ ქართლიდგან, მაგრამ აქ მგზავრს წინ უხვდება მდინარე მტკვარი, რომელზედაც გადი-გამოდიან მონასტრის ნაცვთ; მეორე გზა მიდის მცხეთიდგან. ეს უკანასკნელი გზა არის გაყვანილი მთის ქედზე, რომელზედაც იესო ქრისტეს დამადებამდე მდებარეობდა სატახტო ქალაქი, სადაც ღღესაც მოსჩანან შენობათა ნანგრევები. მთის ქედის მეორე მხრით უნდა დაუყვე დაქანებულ გზას, რომელიც გაივლის ერთ ხრამზე, რომელსაც ჯოჯოხეთის გზას ეძახიან. მონასტერთან მდებარეობს მშვენიერი ტყიანი მთა, რომელზედაც აღშენებულია ჯვართ-ამაღლების გუმბათიანი ეკკლესია. იგი შიგნით მშვენიერად არის დამბატული. ამ ეკკლესიიდან თავს დასჩერებიხარ იმ არეშარეს, რომელზედაც მდებარეობს თვით მონასტერი და სხვა შენობები, რომელიც მონასტერს ეკუთვნიან. ძველი მონასტრის ბერ-მონაზონთა საცხოვრებელ მღვიმეთაგან დარჩენილა ღღეს მხოლოდ ერთი მღვიმე, რომელიც ძმათა სასაღილო ოთახი ყოფილა. ამ მღვიმეში ღღესაც მოსჩანს ერთი მილი, რომელის საშუალებით მღვიმეში შემონავალა წყაროს წყალი; ეს მილი გაუკეთებიათ მეთორმეტე საუკუნეში, ხოლო მეთვრამეტე საუკუნეში ამ მილიდან წყლის დენა შეწყვეტილა.

შიო-მღვიმის მონასტერი ზედა-ზენის მონასტრის შემდეგ, რომელიც დაუარსებია ასირიელ მამათა უმფროსს იოანნეს, ითვლებოდა პირველ მონასტრად. რადგან ამ უდაბნოში ბევრი ბერ-მონაზონნი სცხოვრობდნენ, ამიტომ იგი იწოდებოდა ლავრად, რომელსაც მართავდა წინამძღვარი არქიმანდრიტის ხარისხით. ამ მონასტრის წინამძღვართაგან განსაკუთრებით შესანიშნავი არიან: ეკვარი, მოწაფე წმ. შიოსი, —ნეოფიტე; ეს ნეოფიტე პირველად პერსების ჯართა უფროსი ყოფილა და სახელად ომარი რქმეზია. ქრისტიანობის მიღების შემდეგ დაეჭქა ნეოფიტე, რომელიც მეშვიდე საუკუნეში შიო-მღვიმის მონასტრის წინამძღვრობისაგან აღყვანილი იქმნა ურბნისის ეპისკოპოსად.

შიო-მღვიმის მონასტერს ბევრი ადგილები ჰქონდა და გლეხებიც ჰყავდა, მეფეებისაგან ნაბოძები; მხოლოდ მონასტერს ჰქონდა თევზის ტბერის უფლება მდინარე მტკვარზე იმ ადგილებში, რომელნიც მონასტრის მახლობლად მდებარეობდნენ, მონასტერს ჰქონდა მშვენიერი ვენახი სოფელ ძგვში.

შიო-მღვიმის მონასტერში არის სამი ტაძარი: უმთავრესი ტაძარი აღშენებულია გაუთლელი ქვისაგან. ეს ტაძარი, როგორც ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს, აღშენებულია თვითონ წმ. შიოს სიცოცხლეში. იგი აღშენებულია იოანნე ნათლის-მცემლის დამადების სახელობაზე; ამ ტაძარს აქვს მიშენებული ოთხი ეგვტერი, რომელნიც, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელ დროს არიან აღშენებულნი. ამ ტაძრის ერთი წარწერა გვარწმუნებს, რომ როგორც თვით ის, ისე მისი თაღი, შეუკეთებია 1730 წელში გივი ამილახვარს, რომელიც ითვლება თბილისის ქაშვეთის ეკკლესიის აღმაშენებლად. ეს ტაძარი, როგორც ეკკლესიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქმებიდგანა ჩანს, იწოდება **სამეფოდ**. უმთავრესი ტაძარის ეგვტერებში იმარხებოდენ დიდ-გვარეულობათა სხვა-და სხვა პირნი. ამ ტაძარში არის მღვიმე, სიმაღლით ხუთი საჟენი. მღვიმეს უკანიდან აქვს კარები, რომელნიც შეეწყარავს შაჰ-აბაზსს. ამ მღვიმეში არის სასაფლაო ღირსი შიოსი. ამ სასაფლაოს მორთულობა და ტაძრის კანკელი 1725 წელში რუსეთიდან გამოუგზავნია საქართველოს მეფეს ვახტანგ მეექვსეს.

მეორე ტაძარს, რომელიც ღვთის-მშობლის მიძინების სახელზე არის აღშენებული, გუმბათი არა აქვს. თაღი ანგურისაგან აქვს გაკეთებული. არავინ იცის, თუ ვისი აღშენებულია. ეს ტაძარი. ეს ტაძარიც, როგორც ზედ-წარწერისაგანა სჩანს, გიფი ამილახვარს შეუკეთებია. მესამე ტაძარი აღშენებულია თვით წმ. შიოს სახელზე, იგი ორიე ტაძარზე მორჩენილია და თვით მონასტრის შესავლთან არის აღშენებული. ეს ტაძარი უყურადღებოდ არის მიტოვებული. ის ადგილი, რომელზედაც ეს ტაძარი არის აშენებული, ყოფილა თავდაპირველი საცხოვრებელი ბინა წმ. შიოსი. ამ ადგილიდ ნ ცოტა მოშორებით არის წმ. შიოს მღვიმე.

შიო-მღვიმის მონასტერს ჰქონდა მდიდრული სამკაულები, მაგრამ საქართველოს ისტორიულ უბედურ დროთა გამო ეს სიმდიდრე ისე გაიბნა, რომ არასფერი აღარ დარჩენილა მათგან.

1743 წელში ეს მონასტერი სულ უპატრონოდ დარჩენილა, ამიტომ ყველა ის ოქროს ხატები, რომელნიც კი ამ მონასტერში ყოფილა ამ დროს, წაუღიათ თავად ამილახვრებს და საქართველოს სხვა-და სხვა ეკლესიებში დაუსვენებიათ. ყველა ეს ხატები გაკეთებულნი არიან მეთორმეტე საუკუნეში.

ამ მონასტერში ყოფილა აგრეთვე ბევრი წიგნები, ეტრატზე ნაწერნი, მაგრამ ყველა ესეები, სამწუხაროდ, დაუწვავს მეამბოხეთა. ზოგიერთი ხელთ-ნაწერები და წიგნები, რომელნიც კი მტრის ხელს გადარჩენია, შეუკრავნა 1755 წელში ქაოლიკოსს დომენტი მესამეს. ყველა ეს ხელთ-ნაწერები და წიგნები საღვთის-მეტყველო შინაარსსიანი არიან. ყველა იმ ზედ-წარწერათაგან, რომელნიც ზემოთ აღნიშნულ ხელ-ნაწერებზე და წიგნებზეა, შესანიშნავია ორი; ერთი ზედ-წარწერა არის «აპოკალიპსის» განმარტებაზე 966 წლისა და 1270 წლის სახარებაზე; როგორც ამ ზედ-წარწერათაგან სჩანს, პირველი დაწერილია საბერძნეთში, წმ. ულუმბიის მთაზე, კოლიოს მონასტერში, ბასილი და კონსტანტინეს მეფობის დროს. მეორე ზედ-წარწერისაგან ჩანს, რომ სახარება 1270 წ. დაუწერია ვიღაც მღვდელს — გიორგის წინამძღვართ ზოსიმეს და ვასილის დროს.

მონასტრის ოქმებში განსაკუთრებით შესანიშნავია პირველად მფეს დავით აღმაშენებელის ანდერძი, რომელზედაც არ არის აღნიშნული წელიწადი; ამ ანდერძში მოხსენებულია, რომ მიძინების ტაძარი აღაშენა მან მეთერთმეტე საუკუნეში და მეორე ოქმი თამარ-დედოფლისა, რომელიც დამტკიცებულია მისი შვილის-შვილის დავით მეხუთისაგან; ოქმი დაწერილია ჭყონდიდელი ეპისკოპოსის ანტონისაგან, რომელიც თავისთავს «მწიგნობარს» უწოდებდა. ნამდვილია, რომ ეს ოქმი ძველ დროს ეკუთვნის. ანტონი მართლა სტოგრებდა დედოფლის თამარის დროს და საქართველოს ყველა მიტროპოლიტებშორის იწოდებოდა პირველად.

ეს შიო-მღვიმის მონასტერი, რომელიც ოდესმე ასე შესანიშნავი ყოფილა საქართველოში თავის სიმდიდრით და ბერ-მონაზონთა რიცხვით, დროთა-ვითარებისა გამო ისე დაეცა ამ უკანასკნელ დროს, რომ იგი მიწერილ იქმნა თბილისის ფერისცვალების დარიის მონასტრზე. მაგრამ შემდეგში მას ბედმა ისევ გაუღიმა და იგი შეიქმნა დამოუკიდებელ მონასტრად. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს, გურია-სამეგრ. ეპისკოპოსს, რომელმაც მონასტრის სასარგებლოდ შესწირა 22 ათასი მანეთი, იმ პირობით, რომ ამ შეწირული ფულის სარგებლით ინახებოდეს ამ მონასტერში ოთხი ბერ-მონაზონი, ორი მთავარი და რამდენიმე მორჩილი. ამის გამო ეს მონასტერი ხელ-ახლად შეიქმნა დამოუკიდებელ მონასტრად და მისი ყველა მამულები, რომელნიც დღემდის მიწერილნი იყვნენ შტატის სხვა მონასტრებზე, ხელ-ახლად დაუბრუნდა შიო-მღვიმის მონასტერს. დღეს ამ მონასტრის წინამძღვრად ბრძანდება ყოვლად სამღვდელო ლეონიდი.

ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა წმ. შიოსი.

ღირსი შიო სირიელი იყო ქალაქ ანტიოქიიდამ. ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდა ღირსი მამა ჩვენი შიო-მღვიმელი

ერთად-ერთი მემკვიდრე იყო მდიდარი დედ მამისა. წმ. შიომ პატარაობიდგანვე გამოიჩინა სჯულის და საღვთო სიგნების სიყვარული და სიყრმეშივე ღრმად შეისწავლა საღმრთო წერილი. ოცის წლის შიომ გაიგო ამბავი ადიდ მოღვაწის იოანნესი, რომელიც თავის მოწაფეებით ანტიოქიის ახლო უდაბნოში სცხოვრებდა, მივიდა ამ მოღვაწის სანახავად და ისე მოეწონა ბერების ცხოვრება, რომ სამუდამოდ იმათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან დარჩენა მოინდომა; მხოლოდ სწუხდა, ვაი თუ დედ-მამამ ნება არ დამრთოსო. მომავალთან მცოდნე იოანნემ დაამშვიდა ის და ამცნო, რომ თვითონ იმისი დედ-მამა მიიღებენ ანგელოზების სახეს, წავლენ მონასტრებში და ამით მისცემენ იმას ნებას, როგორც ჰსურს, ისე მოიქცეს. მართალი შეოს დედ-მამა მონასტრებში წავიდნენ და მთელი თავიანთი ქონება შვილს დაუტოვეს. შეო ეწია თავის გულის წადილს: მისცა თავისი ქონება გლახაკთ და წავიდა უდაბნოში მ. იოანნესთან. ამ უდაბნოში იმან ოცი წელიწადი გაატარა მოღვაწეობაშია.

ღირსმა იოანნემ მიიღო ზეგარდმო განცხადება ამოერჩია თავის მოწაფეთაგან თორმეტი, წასულიყო ივერიაში და დაემყარებინა ქრისტეს სარწმუნოებაზე ქართველები. სხვათა შორის, ღირსი შეოც იქმნა ამორჩეული. ივერიაში წმ. მამები ზედაზენის მთაზედ დაბინავდნენ. აქ, ამ მთაზედ მ. იოანნემ იხილა ჩვენება: ყოველად წმ. ღვთის მშობელი გამოეცხადა და უბრძანა მასს გაეგზავნა თავის მოწაფეები საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში საქადაგებლად. ყველანი წავიდნენ, მხოლოდ ღირსმა შეომ, როგორც განკერძოებული ცხოვრების მოყვარული, გამოსთხოვა თავის მოძღვარს უდაბნოში წასვლის ნება, მიიღო ლოცვა-კურთხევა იმისაგან და საქართველოს მაშინდელი ქთაილკოზის ეფლავოსაგან ტ. დაბინავდა მცხეთის მახლობლად უდაბნოში, ერთ გამოქვაბულ ადგილას. მაგრამ ღირსი შეო ნაოლით შემოსილი იყო და მისი სიწმიდის შუქი აქიდამაც გამოჰკრთა და გაანათა არე მარე.

ვინმე ეკვგრი დიდებული და განთქმული მხედარი, ერთხელ ნადირობით გართული, მივიდა უდაბნოში, სადაც ღირსი შეო იყო, მოულოდნელად წაადგა მღვიმეს და მასში ნახა მოხუცი, ძრიელ შეკრთა. განცვიფრებულმა ეკვგრიმ ჰკითხა მოხუცს ვინაობა. «მე, მიუგო წმიდანმა, ვინმე მწირი ვარ და აქ ვმადლობ ღმერთსა». ეკვგრიმ იგრძნო მოხუცისადმი ღრმა სიყვარული და პატივის-ცემა; იმან ძრიელ მოინდომა მიებაძნა მოხუცისათვის და განუცხადა: მე აღარა მსურს შინ დაბრუნება, არამედ მსურს თქვენთან მოღვაწეობა. წმიდანმა ურჩია ეკვგრის დაბრუნებულიყო შინ, რადგან ფიქრობდა, რომ ეკვგრი მზად არ იყო ამისთანა მსხვერპლისათვის, მაგრამ მტკიცეთ ადგა თავის სიტყვას წმიდანმა მაინც უბრძანა მასს დაბრუნებულიყო შინ უკანასკნელის განკარგულების მოსახდენად და იმის სარწმუნოების გამოსაცდელად და [illegible] ღვთის ნების გასაგებად; მისცა თავის კვერთხი და უთხრა, რომ გზაზედ იმ კვერთხით გაეპო მდინარე. ეკვგრიმ აასრულა ბრძანება. მდინარემ მისცა იმას გზა. ეკვგრიმ მისცა მთელი თავისი ქონება გლახაკებს და დაბრუნდა მოხუცთან. ეს პირველი მოწაფე იყო შეოსი. ამას მოჰყვნენ სხვებიც. იმის მოწაფეების რიცხვი გამრავლდა. უდაბნოში გაისმა ხმა მოადლდგომთა.

მოღვაწეებს ეკკლესია დასჭირდათ და სთხოვეს თავის მოძღვარს აეშენებინა იმათთვის საყდარი. ღირსი შეო თავის მოწაფეებით დადგა ლოცვად და ევედრებოდა ღმერთს გამოეცხადებინა იმისათვის თავისი ნება ამ განზრახვის შესახებ. წმიდანმა საკეცხლურის მაგივრად ხელის გულზედ დაიკმინა საკმეველი. ცეცხლმა ხელი არ დასწვა. წმიდანი გაჰყვა საკმეველის კვამლს, სანამ კვამლმა პირ-და-პირ ცისკენ არ აიწია და ამ ადგილს თავისი კვერთხით სამი ეკკლესიის ადგილი დასახა. ამ გვარად ტაძრების ადგილი ზეგარდამო იყო ნაჩვენები.

წმიდა მოღვაწეებს არა ჰქონდათ შეძლება აეშენებინათ ეკკლესიები. მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ ღმერთი უჩვენებდა იმათ სახსარს. ასეც მოხდა. საქართველოს მაშინდელ მეფეს ფარსმანს ძრიელ უყვარდა დიდებული ეეგარე და მოინდომა მისი ნახვა. მიბრძანდა უდაბნოში. მეფემ ეეგარის მოძღვარიც ნახა აქ და დიდი პატივი სცა იმას. ფარსმანმა მოხუცის წინ მოიხადა თავისი სამეფო გვირგვინი და ისე ამბორის უყო იმას. ღირსმა შეომ თავის ხელით დაადხურა მეფეს გვირგვინი და აკურთხა. ფარსმანმა აღუთქვა მოხუცს შემწეობა და, როდესაც გიგო ეეგარისაგან, რომ იმათ ჰსურთ ეკკლესიები აღაშენონ, და ალაგიც არის იმისათვის ნაჩვენები, მაგრამ შეიძლება არა აქვსთ, თითონ აღაშენა ეს ეკკლესიები და იმათ კურთხევაზედ თვითონ დაესწრო. ეკკლესიები ქართლიკოზმა მაკარმა აკურთხა. ამის შემდეგ წმიდანთა მოწაფეების რიცხვმა უფრო იმატა და მოძღვარმა იმათ იქვე ახლო სხვა უდაბნო დაუწყო. ღირსმა შეომაც ეხლა სხვა მღვიმე გაიკეთა იოანნეე წინამორბედის ეკკლესიის ქვეშ და იქ განაგრძობდა თავის მოღვაწეობას.

ბოლოს წმიდა შეომ განიზრახა დახშულიყო მღვიმეში, გამოუსვლელად ყოფილიყო იქ. გამოსთხოვა ამის ნება ღრმად მოხუცებულ იოანნეს და აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე მიიღო კურთხევა ქთალიკოზისაგან. გამოუცხადა თავისი განზრახვა მოწაფეებს, დაუყენა იმათ თავის მაგივრად წინამძღვრად ევაგრე და ეოცსალი დაიმარხა ქრისტეს სიყვარულისათვის. მოძღვარს ბუსს და წყალს მთხრებლის პირიდამ აწყდიდნენ მოწაფეები. ღვაწლმა და მარხულობამ გაახმა, დალია მისი სხეული, გარნა მისი სული გაბრწყინდებოდა და უკვე ჭვრეტდა სიახლოვეს მაცხოვრისას.

მოვიდა ღირსის შიოს აღსასრულის დღე; იმან მიიღო წმ. საიდუმლო და განისვენა. ანდეისაებრ ის იმ მღვიმეშივე დამარხეს. ეს მეშვიდე საუკუნეში მოხდა. 1617 წელს შაჰ-აბაზმა დააქცია და აიღო შიო მღვიმელის მონასტერი. წმიდანის გვამი სპარსეთში წაიღებინა. შემდეგში წმიდანის ნაწილები ისევ დაბრუნეს საქართველოში და დასაფენეს იმავე მონასტერში, სადაც ახლაც ასვენია. წ. ეკკლესია ღირსი შიოს ხსენებას დღესასწაულობს მაისის 9-ს და ყველიერის ხუთშაბათს, როდესაც წმიდანის ნაწილს ამოიღებენ ხოლმე თაყვანისცემლად.

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები:

I

„მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით გულწრფელი მადლობა გამოუცხადოთ ჩემის მხრით დ. ზუგდიელის მოვაჭრეს აზ. სპირიდონ დ. დგებუაძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებული ჩემდამი კიწის წმ. გიორგის ეკკლესიის შემდეგი ნივთები: ბარძიმ-ფეშხუმი თავის მოწყობილობით. ვისურვებ, რომ ზემორე ხსენებულის პირის კეთილი მაგალითისათვის მიბაძოსთ აქაური მამულოსშვილებსაც და აღმოჩინოსთ თავიანთი ღირები ეკკლესიისთვის რაიმე შემწეობა.

მღვდელი სამსონ ჩაჩიბაია.

II

ეულითადს მადლობას ვუძღვნით როგორც ჩვენ კრებულნი, აგრეთვე ჩვენდამი რწმუნებული ქვიტრის წმ. გიორგის ეკკლესიის მრევლნი ქ. ფოთის მეორე გილდის ვაჭარს კოსტა რუხაძეს, რომელმაც ზემოხსენებულ ეკკლესიის შემოსწირა ერთი ჯვარი და ერთიც ტრაპეზზედ დასადგმელი კარგად შემკობილი სანაწილე ფრაჟისა, სულ ღირებულნი 50 მან. და შემდეგისათვისაც გვპირდება ეკკლესიის შემოწირველობას.

ქვიტრის ეკ. მღვ. პავლე ბაბტაძე.

III

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენის პატივცემულის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ჩემგან და ჩემის მონასტრის ძმათაგან, რაჭის მაზრის, სოფელ ხვანჭკარის მცხოვრებს თ. ჭაიხოსრო ყიფიანს, რომელმაც შემოსწირა 500 მ. რწმუნებულს ჩემდამი ჭელიშის მონასტრის გალავნის გასაკეთებლად; ხსენებული გალავანი კიდევაც გაკეთდა ესრეთის შემოწირულებითის საშუალებით 108 საჟ. სიგრძეზე და 1 საჟენის სიმაღლეზე.

ჭელიშის მონასტრის წინამძღვარი არქიმ. დანიელი

IV

მ. რ! გთხოვთ მორჩილად ნება გვიბოძოთ გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ბ. კოსტანტინე ბაქრაძეს, სტეფნე ფეიქაროს და დიმიტრი ბახტაძეს, რომელთაც შემოსწირეს ჩვენი საკანის სასარგებლოდ პირველმა და მეორემ სამ-სამი მან., ხოლო უკანასკნელმა 5 მან.

მათხოვარი საკანის წინამძღვარი ბარსაკეგა.

განცხადებანი.

ი ს ყ ი დ ე ბ ა

შეოლებისათვის სახელმძღვანელო

✦✦ ქართულ-რუსული წიგნები, ✦✦

რ ვ ე ულ ე ბ ი და სხ.

ამასთან ვღებულობ ყოველგვარ წიგნებს გასაყიდლათ საკომისიოთ.

აქვე იყიდება «ბალანტერეინი» და „ბაკალეინი“ საჭმელი. უმორჩილესად ეთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, ნუ დასტოვებს ჩემს მაღაზიას უყურადღებოთ.

მეორე გილდის ვაჭარი ქიშვარდი ოქრ. ხუნდაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმძღვანელონი ტ სხვა საკითხვი წიგნები,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხვი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტე შეფასებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ყართულია თავში სახატაი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ისე, რომ ამ წიგნის ეხმარებელთ ადარ მოუნდებათ ყიდვა არც სახატაებისა და არც დედანისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ძართულს ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უფმიდესის სინოდისაგან... მინც ერთად იყიდის ოც ეთ ან მეტს ცალსა, წიგნი დეთმობა ხუთ შაურად, ყდით 33 კაპ.

ბუნების კარი, ანუ საკითხვი წიგნი, უმეროსს კლასში სახმარებელი, მეოხე გამოცემა შემცული სურათებით და საკმარეველოს ქარტეთ, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხ-აბაზ უნალთეული (90 კაპ.). უყოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. მინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დეთმობა ოთხ აბაზად, ენე ოცსა— თეთხმეტ შაურად და ენე ოც-და-ათსა—ოთხ ბ.ტ შაურად. ამ წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «შეფენილი სახელმძღვანელო ძართულის ენისა» და აგრეთვე უფმიდესი სინოდისაგან.

ეროერი, ანუ ანბანი და პირველი საკითხვი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მერეე, ფასი ორი შაური ნარდათ 8 კაპეიკი.

კონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ენენ ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ენენ ოცსა-ორ აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხოგლი, ანუ ჩრიეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყოფათთვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

ისევნანამ რა ჰქმენ? მოთხრობა მოზრდილთა ქალწ�ნელებისათვის, მეოთე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

ხაბნის ბიბლიო? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური.

ასპინძის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათთი, და ქარტეთ, მეორე გამოც. ფასი 10 კ.

პირიოდი უკუღმართოდ, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ ყირმოადამანინს და მოვლის ერის ცხოერებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

თავადდაბალნი ქართველნი, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 ко пѣекъ.

РУСС ОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

ОбѢ части „Русскаго Слова" одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихъ" одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (смотри „Сборникъ" распоряженій по управленіюѲКавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967

Равнымъ образомъ одобрено и рекомедовано. „Русское Слово" духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

ѢЕЛЕ ЕЛ ЕЛ ЕЛ